პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქი ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის (24.10.2019წ. №5/62532, 28.06.2021წ. №5/39697 და 06.07.2022წ. №5/38135) და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების პირობების გასაუმჯობესებლად, მათთვის საკუთრებაში სასყიდლით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 (შვიდი) ერთეული უძრავი ქონება, კერძოდ:

1. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.500; ფართობი: 126.21 კვ.მ.).
2. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.502; ფართობი: 10.02 კვ.მ.).
3. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.504; ფართობი: 129.65 კვ.მ. და 76.74 კვ.მ.).
4. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.505; ფართობი: 79.32 კვ.მ.).
5. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.506; ფართობი: 76.74 კვ.მ.).
6. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.507; ფართობი: 125.40 კვ.მ.).
7. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.508; ფართობი: 19.27 კვ.მ.).

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქი ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ"
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" მომართვები (24.10.2019 წ. N5/62532, 28.06.2021 წ. N5/39697 და 06.07.2022 წ. N5/38135), რომლებიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე - მეველის ქუჩა N15ა-ში მდებარე უძრავ ქონებაზე უზუფრუქტის ხელშეკრულების გაუქმებასა და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველის ქუჩა N15ა-ში მდებარე უძრავ ქონებას აქვს ორი კორპუსი. ერთი კორპუსი უჭირავთ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს და მეორე - ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებას". ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" N22 ფილიალი განთავსებულია ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველის ქუჩა N15ა-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ N03.02.01.443), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს უძრავი ქონება მდებარე ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველის ქუჩა N15ა-ში (ს/კ N03.02.01.444).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N03.02.01.444) ცალკეულ საკადასტრო ერთეულებად გამოყოფა (ს.კ. 03.02.21.563; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 397.0 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 821.09 კვ.მ. და ს.კ. 03.02.21.562; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 2308.0 კვ.მ. შენობა-ნაგებობა N1).

ვაზუსტებთ, რომ ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველის ქუჩა N15ა-ში მდებარეობს უძრავი ქონება, 1) ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ფართობით 397.0 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს.კ 03.02.21.563), რომელიც უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული აქვს ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებას". მაგრამ კორპუსის გარკვეული ნაწილი ფაქტობრივად დაკავებული აქვთ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს (ს.კ. 03.02.21.563.01.500; ს.კ. 03.02.21.563.01.502; ს.კ. 03.02.21.563.01.504; ს.კ. 03.02.21.563.01.505; ს.კ. 03.02.21.563.01.506; ს.კ. 03.02.21.563.01.507; ს.კ. 03.02.21.563.01.508;) და 2) მიწის ნაკვეთი ფართობით 896.0 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა (ს.კ. 03.02.01.443), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, მაგრამ ფაქტობრივად აღნიშნულ შენობაში განთავსებული არის ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" N22 ფილიალი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 (შვიდი) ერთეული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების პირობების გასაუმჯობესებლად, მათთვის საკუთრებაში სასყიდლით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე - მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი 03.02.21.563.01.500; ფართობი: 126.21 კვ.მ.). ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი 03.02.21.563.01.504; ფართობი: 129.65 კვ.მ. და 76.74 კვ.მ.). ქალაქი ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი 03.02.21.563.01.505; ფართობი: 79.32 კვ.მ.). ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი 03.02.21.563.01.506; ფართობი: 76.74 კვ.მ.). ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი 03.02.21.563.01.507; ფართობი: 125.40 კვ.მ.). ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი 03.02.21.563.01.508; ფართობი: 19.27 კვ.მ.).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის მიზნით, საკრებულო უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. 108-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი)

ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქალაქი ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი